



MES 4 20 0000644562

29/07/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 24 ივლისს.**
სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომას ჩაერთოს ონლაინ.

Join Zoom Meeting

<https://us02web.zoom.us/j/89641976506>

Meeting ID: 896 4197 6506

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი (საბჭოს თავმჯდომარე);

გიორგი ხიშტოვანი - ა(ა)იპ - პმს კვლევითი ცენტრის კვლევითი დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)

მარიამ ჩაგელიშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (საბჭოს მდივანი);

ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში, ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;

გიორგი ტრაპაიძე - სს „ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომადგენლები:

კახაბერ ერაძე - დირექტორის მოადგილე;

ნანი დალაქიშვილი-პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი;

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხრისხის უზრუნველყოფის სამსახურის პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების კოორდინატორი;

ლონდა მინდიაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ექსპერტთა კორპუსის მართვის კოორდინატორი;

მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;

მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღა“

ირმა მეგრელიძე - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს კოლეჯი „ბარაკონი“

გიორგი ფოფხაძე,

ნინო ბოკერია,

ნინო ხაჩიძე

სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

კოლეჯის დირექტორი - თეიმურაზ ასათიანი

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი - ელისაბედ ებრალიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი - ირმა გრძელიძე

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელი - კახაბერ ჭეიშვილი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე - ლევან წიქარიძე

ექსპერტები:

ლევან მადათოვი

თამარ ახალაძე

ქეთევან ბოტკოველი

ნანა შათირიშვილი

ნანა შარაბიძე

ირმა ღარიბაშვილი

ალინა კუპრავა

ნატა ჩხაიძე

მადონა გოგობერიშვილი

იანინა გიგიბერია

თამარ ვალიშვილი

გიული გურგენიძე

ია მოსაშვილი

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩარჩოება და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

დღის წესრიგი:

1. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის (ქობულეთი) დამატების შესახებ საკითხის განხილვა
2. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „მეფუტკრეობის“ (ხულო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
3. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „სასტუმროს მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
4. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
5. სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღაშიგანხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
6. შპს „ბარაკონისთვის“ „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა
7. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
8. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეფუტკრეობის“ (თიანეთი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
9. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
10. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „თმის მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
11. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
12. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მებოსტნეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
13. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეხილეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

14. სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეხილეობის“ (თიანეთი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები
15. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
16. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
17. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „ბუღალტრული აღრიცხვის“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა
18. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის „საფინანსო სერვისების“ (ქუთაისი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს ერთად წარმოედგინათ დღის წესრიგის პირველი და მეორე საკითხების თაობაზე პრეზენტაცია.

1. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის (ქობულეთი) დამატების შესახებ საკითხისგანხილვა;
2. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „მეფუტკრეობის“ (ხულო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა.

წარმდგენი: ლევან მადათოვი, თამარ ახალაძე

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და ექსპერტთა მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნებს. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დღის წესრიგის მიხედვით გათვალისწინებული პირველი და მეორე საკითხი ეხებოდა სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღისთვის“ „მეფუტკრეობის“ პროგრამის დამატებას ქობულეთსა და ხულოში.ერთი და იგივე პროგრამას სხვადასხვა ლოკაციაზე.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე 18 და 19 ივნისს, განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღაში“, „მეფუტკრეობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის

დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ამ პროგრამას დაწესებულება დიდი ხანია ახორციელებს. მოხდა შემოწმება, მიეცათ რეკომენდაციები, რაც დასკვნის სახით მიეწოდა დაწესებულებას.

რეკომენდაციების შესახებ ისაუბრა დარგის ექსპერტმა, თამარ ახალაძემ. მან აღნიშნა, რომ ისინი იმყოფებოდნენ პროგრამის ლოკაციის ორივე ფილიალში, ქობულეთსა და ხულოში. ორივე მათგანზე რეკომენდაციები თითქმის ერთი და იგივეა. ზოგადად, ეს პროგრამა რეგიონისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რისი დასაბუთებაც წარმოადგინა დაწესებულებამ. დაწესებულება „მეფუტკრეობის“ პროგრამას ახორციელებს საგნობრივს - 2012 წლიდან, მოდულურს - 2015 წლიდან. ვიზიტის დროს მოხდა გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, კოლეჯის ადმინისტრაციასთან.

დაწესებულებას მიეცა ორი რეკომენდაცია:

2.2.1. (2) ქობულეთში პროფესიული საგანმანათლებლო პროფესიული მოდულების ყველა (11) მოდულს კითხულობს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელსაც გააჩნია პრაქტიკული გამოცდილება და პროფესიული სტუდენტებისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, თუმცა პროგრამის განხორციელების მდგრადობის თვალსაზრისით, მიზანშეწონილია, პროგრამის განხორციელებაში დამატებითი კადრების ჩართვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრების დროს ამ რეკომენდაციის განხილვისას, მათ გამოხატეს მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე მოდულების განხორციელებაში ჩართონ სხვა პირებიც, მათ შორის, შესაძლებელია ამავე კოლეჯის მიერ განხორციელებული „მეფუტკრეობის“ პროგრამის კურსდამთავრებულები, რომლებიც დამატებით გაივლიან გადამზადებას.

2.2.1.(3) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია „სურსათის უვნებლობის“ მოდული, პროფესიული მასწავლებელს გააჩნია უმაღლესი განათლება და სამუშაო გამოცდილება საქონელმცოდნეობაში, ამდენად, პირი შეძლებს ზემოაღნიშნული მოდულის სწავლებას, თუმცა, „სურსათის უვნებლობის“ მოდულში მოცემული საკითხების სპეციფიკიდან და სიახლიდან გამომდინარე (მაგ. სურსათის უნვებლობის სფეროში საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმები, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია (WTO), ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA), სურსათის უვნებლობის პოლიტიკა საქართველოში, HACCP-ის მირითადი პრინციპები) სასურველია, პროფესიულმა მასწავლებელმა დამატებით გაიაროს „სურსათის უვნებლობის“ სასერტიფიკატო კურსი, რომელიც მოიცავს ზემოაღნიშნულ საკითხებს. ადმინისტრაციასთან გასაუბრებისას, გამოითქვა მზაობა, სასწავლო წლის დაწყებამდე პროფესიული მასწავლებლის გადამზადების შესახებ, ასევე აღინიშნა, რომ კოლეჯში დასაქმებულია სხვა პირიც, რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, დამატებით ჩართავენ სასწავლო კურსის განხორციელებაში.

საბჭოზე წარმოადგინეს ფოტოები, კოლეჯის A და B გარემო, ასევე C გარემო, რომელიც არის ღია სივრცეში განლაგებული მეურნეობა. დაწესებულებას „მეფუტკრეობა“ პროგრამის მიზნებისათვის აქვს A/C სასწავლო გარემო, სადაც განთავსებულია შესაბამისი სასწავლო გარემოსთვის საჭირო ინვენტარი. მოდულისათვის „ინფორმაციული წიგნიერება 1“ გამოყოფილია B გარემო. ორცვლიანი სწავლების გათვალისწინებით, პროგრამის რესურსი შეადგენს 26 პროფესიულ სტუდენტს.

პრაქტიკული კომპინენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ააიპ „საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებასთან“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მეფუტკრეობა“ განხორციელების ფარგლებში

ურთიერთთანამშრომლობის შესახებ, რომლის მიხედვითაც გაერთიანება უზრუნველყოფს ააიპ „საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებაში“ გაერთიანებული მეფუტკრე-ფერმერების საკუთრებაში არსებულ საფუტკრე მეურნეობებში ქობულეთის 26 პროფესიული სტუდენტისათვის მოდულების პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისა და შეფასებისთვის ფართის გამოყოფას და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობას.

საქართველოს მეფუტკრეთა გაერთიანებაში შედის „ჯარას მეფუტკრეთა ასოციაცია“, რომელიც ბოლო წლებია აქტიურად მოღვაწეობს აჭარაში შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოს და ავსტრიის სააგენტოს დაფინანსებით„„ჯარას მეფუტკრეთა ასოციაციის“ ინიციატივით კოლეჯმა წარმოადგინა აღნიშნული პროგრამა. მოხდა გასაუბრება ასოციაციის წარმომადგენელთან, რომელმაც აღნიშნა, რომ მზად არიან ითანამშრომლონ კოლეჯთან და დაგროვილი გამოცდილება გაუზიარონ პროფესიულ მასწავლებლებს, ასევე, მზად არიან ჩაერთონ სასწავლო პროცესში.

რაც შეეხება ხულოში პროგრამის განხორციელებას, იგივე რეკომენდაციები ჰქონდათ ექსპერტებს. ისინი გაესაუბრნენ განმახორციელებელ პედაგოგებს, რომელიც ახალი მასწავლებლები არიან და საჭიროებენ გადამზადებას. მათ ჰქონდათ ასევე კომუნიკაცია დაწესებულებასთან და ადასტურებენ, რომ მათ აქვთ მზაობა მასწავლებლთა გადამზადებისათვის და ასევე სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებითაც.

ექსპერტმა, ლევან მადათოვმა დაადასტურა, რომ ორივე დასკვნაში რესურსის დაგეგმილი პროცესების გამო აღმოჩნდა, როგორც მეტწილი შესაბამისობა. დაწესებულება სწავლის დაწყებამდე აპირებს არსებული რესურსის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანას.. საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტის მოსაზრებით აღნიშნულთან დაკავშირებით. არის თუ არა მდგრადობის თვალსაზრისით რისკი, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, ადგილზე ჩასვლამდე გაეცვნენ პირად საქმეებს, რომელშიც დასტურდება ამ ადამიანების კვალიფიკაცია. რაც შეეხება პროგრამის ხელმძღვანელს, მას არ ჰქონდა სწავლების პრობლემა, ახალი მასწავლებლები, რომლებიც არიან ჩართული პროგრამაში, საჭიროებენ გადამზადებას სწავლების მეთოდებში და შეფასებაში. როგორ ასწავლიან და როგორ დაადასტურებენ სწავლის შედეგს. მათ კვალიფიკაციაში, რათქმა, უნდა ეჭვი არ ეპარებათ, წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი სერტიფიკაცებიც.

საბჭოს თავმჯდომარემ ინტერესი გამოთქვა, რადგან ერთი, პროგრამის ხელმძღვანელი კითხულობს ყველა მოდულს, მეორე განმახორციელებლისთვის, , რომელიც ექსპერტთა რეკომენდაციით აიყვანეს, ხელშეკრულება თუ აქვთ წარმოდგენილი, რაზედაც ლევან მადათოვმა უპასუხა, რომ ხელშეკრულება წარმოდგენილი აქვთ და პროგრამის ადამიანურ რესურსშიც დამატებული ჰყავთ მასწავლებელი. თამარ ახალაძემ დაამატა, რომ ორივე ფილიალში, როგორც ქობულეთში, ასევე ხულოში, პროგრამის განმახორციელებლები პროფესიონალები არიან და მდგრადობის კუთხით არანაირი კითხვის ნიშანი არ დგას.

შემდეგ მოუსმინეს დაწესებულების წარმომადგენელს, ირმა მეგრელიძეს, რომელმაც თქვა, რომ ეთანხმება რეკომენდაციებს. დამატებითი კადრის შერჩევაში ჩართეს ასოციაცია და პედაგოგები ქობულეთსა და ხულოში ასოციაციის რეკომენდაციით აიყვანეს, გაუფორმეს ხელშეკრულება. რაც შეეხება გადამზადებას, მათ დაიწყეს პედაგოგების გადამზადება სწავლებისა და შეფასების მეთოდოლოგიაში.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ კითხვა დასვა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით, 26 სტუდენტი ერთდროულად ისწავლის თუ ცვლებში, რაზედაც

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ჯგუფში განსაზღვრეს 13 სტუდენტი და ორ ცვლაში აქვთ გათვალისწინებული სწავლება. შორენა ჯაფარიძის მეორე კითხვა ეხებოდა, რომელ მოდულებს გადიან სტუდენტები პრაქტიკის ობიექტზე. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ასოციაცია მზადაა ნებისმიერი მოდულის სწავლებისთვის, ხელშეკრულებაში ზოგადად აქვთ გაწერილი, თუმცა დაწესებულება ფიქრობს, საჭიროების მიხედვით განახორციელოს პრაქტიკა ორივე ობიექტზე.

საბჭოს წევრმა, მარიამ ქუჩულორიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებული რეკომენდაციისთვის. ის დაინტერესდა, რამდენად არის კვალიფიციური ის ახალი განმახორციელებელი, რომელიც დაწესებულებამ დაამატა, რადგან ზოგადად თაფლისა და მეფუტკრეობის პროდუქტების ხარისხი და სურსათის უვნებლობის საკითხები ქვეყნისთის ძალიან მტკივნეულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, , რომ გადმოგზავნილი აქვთ პირადი საქმე, სადაც დევს სერტიფიკატი, რითაც დასტურდება, რომ განმახორციელებელს გავლილი აქვს შესაბამისი ტრეინინგ-კურსი. და ორივე ექსპერტსაც ნანახი აქვს, რაც დაადასტურეს ექსპერტებმაც .

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ზეპირ მოსმენაზე ექსპერტთა და დაწესებულების მხრდან დაფიქსირებულ მსჯელობასა და არგუმენტებზე დაყრდნობით, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, რომ 2.2 კომპონენტის ნაწილში, შეფასება „მეტწილი შესაბამისობიდან“ გადაკვალიფიცირდეს/შეიცვალოს „სრულ შესაბამისობად“, ექსპერტთა რეკომენდაციები კი შეიძლება ჩაითვალოს განვითარების რეკომენდაციებად.

აღნიშნული პირობებით, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯ „ახალი ტალღისათვის“ ქალაქ ქობულეთში „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯარების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამა ქალაქ ქობულეთში (დანართი 1).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივლისი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „მეფუტკრეობის“ (ხულო) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამა დაბა ხულოში (დან ართი 2).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივნისი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს ერთად წარმოედგინათ დღის წესრიგის მესამე და მეოთხე საკითხების თაობაზე პრეზენტაცია.

3. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

4. სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: ქეთევან ბოტკოველი და ნანა შათირიშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

დაწესებულებაში ექსპერტთა ჯგუფების ვიზიტის საფუძველი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ „სასტუმრო მომსახურების“ და „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების მიზნით, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ)ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შემოწმება. ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; სასტუმრო მომსახურების და სარესტორნო მომსახურების საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებისა და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმების შემოწმება და შესაბამის პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება და პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება. ვიზიტისას მიმდინარეობდა ჯგუფის წევრებს შორის გაწეული მუშაობის შედეგების შეჯამება და დაწესებულებისთვის წარდგენა.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამა შექმნილია ერთი და იგივე ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და რაც შეეხება შეფასებას, ორივე პროგრამა შეფასდა, როგორც სტანდარტთან სრულად შესაბამისი.

კოლეჯმა ამ პროგრამების განხორცელება მოიპოვა 2017 წელს. ზოგადად, ძალიან საინტერესოა ამ დაწესებულების მიღწევები და წარმატებები. კოლეჯი "ახალი ტალღა" ევროპის ხარისხის ფონდის EFQM მიერ აღიარებული სასწავლებელია საქართველოში. სსიპ კოლეჯი „ახალი ტალღა“ 2015 წელს ჩაერთო და 2016 წელს ერთ-ერთმა პირველმა წარმატებით გაიარა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ხარისხის მართვის / მენეჯმენტის ევროპული მოდელი (EFQM Excellence Model) - "გზა სრულყოფისკენ" ვალიდაცია. 2016 წლის 13 იანვარს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებით შიდა ხარისხის მართვის (EFQM) "სრულყოფის მოდელის" დანერგვის პროცესში მიღწეული წარმატებისთვის ქობულეთის კოლეჯი "ახალი ტალღა" დაჯილდოვდა და მიენიჭა EFQM-ის პირველი დონის - "სწრაფვა წარმატებისკენ" აღიარება. რაც შეეხება კონკრეტულ პროგრამას „სასტუმრო საქმე“ შეიძლება აღინიშნოს კურსდამთავრებულების დასაქმების მაღალი მაჩვენებელი, კერძოდ 2017 წლიდან 2019 წლის ჩათვლით 104 კურსდამთავრებულიდან დასაქმებულია 59.

ხარვეზები არ გამოვლენილა. ექსპერტების მიერ გაიცა რეკომენდაცია ინტეგრირებული მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიის“ მასწავლებლებისთვის და კერძოდ გამოითქვა მოსაზრება, რომ სასურველია ისინი სასწავლო პროცესის დაწყებამდე გაეცნონ და შესაბამისად შეისწავლონ მოდულით განსაზღვრული სასწავლო მატერიალური რესურსი, რომელიც ინტეგრირებული სწავლებისთვის არის განკუთვნილი.

დაწესებულების გადაწყვეტილება, საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში „სასტუმრო მომსახურება“ და სარესტორნო მომსახურება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ, შესაბამება კოლეჯის მისიას. ორივე პროგრამა შემუშავებულია და დამტკიცებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

ჩარჩო დოკუმენტის - „სასტუმრო, რესტორანი და კვება“ საფუძველზე და შეესაბამება დაწესებულების მისიას, სტრატეგიული განვითარების გეგმას, ჩარიცხვის წესს. დაწესებულებამ პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 22.09.2017 წლის N50 გადაწყვეტილებით, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2019 წლის 28 ოქტომბრის N211 გადაწყვეტილებით. 2020 წლის 19 მაისის გადაწყვეტილებით პროგრამას დაემატა სწავლის შედეგები. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების შესახებ ეფუძნება დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. ამისთვის დაწესებულებას შემუშავებული აქვს სხვადასხვა გეგმა შემუშავებულია სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის მიხედვით. საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომელიც ითვალისწინებს სრულ ზოგადი განათლებას, ხოლო საბაზო განათლება მოთხოვნილია იმ სასწავლო გეგმაზე, სადაც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

დოკუმენტაციის გაცნობის, მატერიალური რესურსის დათვალიერების და შესაბამის პირებთან გასაუბრების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებაში ინტეგრირებული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (90 პროფესიული სტუდენტი მოდულურ/დუალურ პროგრამაზე, მათ შორის 30 სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამაზე). პროგრამაში დანართის სახით დამტკიცებულია საჭირო მატერიალური რესურსი, რომლის არსებობაც დასტურდება ადგილზე დათვალიერებით და შესყიდვის დოკუმენტაციით.

ინტეგრირებული პროგრამების განხორციელების მიზნით მასწავლებელთა შერჩევა განხორციელდა კონკურსით გზით. ყველა წესის დაცვით შეირჩა 13 მასწავლებელი, ყველა ამ მასწავლებელთან გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები. ამავე მასწავლებლებთან გაფორმდა წინარე ხელშეკრულებები პროგრამებისთვის „სარესტორნო მომსახურება“ და „სასტუმრო მომსახურება“. ხელშეკრულებების თანახმად მასწავლებელი იღებს ვალდებულებას ამ პროგრამებში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების უფლების მოპოვების შემთხვევაში ჩაერთოს კონკრეტული მოდულის განხორციელებაში. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით კვირაში მაქსიმუმ 30 საათი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი, ინტეგრირებულის შემთხვევაში - 40, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება კოლეჯის შინაგანაწესისა (მასწავლებლის მიმართ წაყენებული მოთხოვნებით) და მასწავლებელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, მათი პირადი საქმეებით, ასევე მასწავლებლებთან ინტერვიურებით. მათი უმრავლესობა საჯარო სკოლის შესაბამისი საგნის მასწავლებელია, ერთ-ერთი მათგანი სერთიფიცირებულია, ხოლო 6 კოლჯის პროფესიული მასწავლებელია. წარმოდგენილი მასალები ადასტურებს პროფესიული მასწავლებლების კომპეტენციას.

თითოეულ პროგრამას ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. დარგობრივი კომპეტენცია დასტურდებამათი პირადი საქმეებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება ტურიზმის მენეჯმენტის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი. ორივე პროგრამას სხვადასხვა ხელმძღვანელი ჰყავს, თუმცა ორივეს უდასტურდება შესაბამისი ხარისხი.

კოლეჯს ასევე ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი და სსსმ პირთა ასისტენტი. შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი სტუდენტის არსებობის შემთხვევაში კონკრეტულ პროგრამაზე, უზრუნველყოფილი და დაკმაყოფილებული იქნება მისი

საჭიროებები. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა. სწავლება ფინანსდება სამინისტროს მიერ. პროგრამა ფინანსდება ვაუჩერულად.

რაც შეეხება საგანმანათლებლო რესურსს, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული ინტეგრირებული მოდულებისათვის განსაზღვრული ყველა სახელმძღვანელო განთავსებულია ბიბლიოთეკაში. სახელმძღვანელოები საბიბლიოთეკო წესითაა დამუშავებული. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი, სადაც განთავსებულია ოთხი კომპიუტერი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება.

ინტეგრირებული მოდულებისათვის გამოყოფილია ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და დაცულია უსაფრთხოების ნორმები. დაწესებულებაში განხორციელებული პრაქტიკული კომპონენტის ფარგლებში შემუშავებულია შრომის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის წესი. კოლეჯის უსაფრთხოების სპეციალისტთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროფესიულ სტუდენტებს პერიოდულად უტარებოდათ ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა, რომ თითოეული პროგრამის მასწავლებელი შეარჩია კონკურსის გზით, სამინისტროს მხარდაჭერით. მათ გაიარეს გადამზადების კურსი. ექსპერტების რეკომენდაციას სპეციფიკიდან გამომდინარე, ეთანხმებიან. სწავლის დაწყებამდე გეგმავენ ტრეინინგები ჩაუტარდეთ მასწავლებლებს.

საბწოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, დაწესებულების საუკეთესო გამოცდილების გაუღერებისათვის და დასვა ორი კითხვა, მას აინტერესებდა მასწავლებლები ამ ორ ინტეგრირებულ პროგრამაში სხვადასხვაა, თუ ერთიდა იგივე. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ერთი და იგივე მასწავლებლები ჰყავთ ორივე პროგრამაზე. შემდეგი კითხვა ეხებოდა დასაქმებას. ითქვა, რომ დასაქმების მაჩვენებელია 59 %, რატომ თვლის დაწსესებულება და ექსპერტები, რომ ეს მაჩვენებელი მაღალია. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დასაქმების სტატისტიკას წელიწადში ორჯერ ითვლიან, გაზაფხულზე და შემოდგომაზე. გაზაფხულის მაჩვენებელი, რომელიც ზამთრის არასეზონურ პერიოდს შეესაბამება, შედარებით ნაკლებია. ექსპერტებმა ნახეს გაზაფხულის მაჩვენებელი, რეალურად დასაქმების მაჩვენებელი, განსაკუთრებით სეზონზე, ძალიან მაღალია. თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისათვის“ „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები;

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უფლებამოსილების, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სასტუმრო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 3**). გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივნისი.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღისთვის“ „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების უფლებამოსილების, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღას“ (ს/კ: 246954620) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „სარესტორნო მომსახურების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (**დანართი 4**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივნისი.

5. სსიპ - კოლეჯ „ახალ ტალღაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

წარმდგენი: ნანა შარაბიძე, ირმა ღარიბაშვილი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარებ განმარტა, რომ სსიპ-კოლეჯმა „ახალი ტალღა“ სამ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე -„მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება-სამდებრო სამუშაოები“, რომლებზედაც საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება მოპოვებული ჰქონდა დუალური მიდგომით, ითხოვა განხორციელების ფორმის ცვლილება. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 05 ივნისის №439919 ბრძანებით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამების: „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მშენებლობის წარმოება -იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება- სამდებრო სამუშაოები“, რომლებშიც შეიცვალა განხორციელების ფორმა დუალური მიდგომიდან მოდულურ მიდგომად, ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით (ბ.ა), (ბ.ბ) და (ბ.დ) განსაზღვრული სტანდარტის შესაბამისობის შემოწმება, რისთვისაც ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა მონიტორინგის ვიზიტი სსიპ-კოლეჯ "ახალ-ტალღაში" 2020 წლის 25 და 26 ივნისს ქ. ქობულეთში.

ექსპერტთა ჯგუფმა გადამოწმა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მარეგულირებელი დოკუმენტები, საგანმანათლებლო სივრცეები და მათი აღჭურვილობა, საგანმანათლებლო რესურსების საბიბლიოთებრ სივრცეში არსებობა, პროფესიული მასწავლებლების და ადმინისტრაციის წარმომადგენლების პირადი საქმეები. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა სსიპ-კოლეჯის "ახალ-ტალღა" ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებს და პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი დაწესებულების წარმომადგენელს. ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა დაწესებულების მოთხოვნას, განახორციელონ ზემოთ აღნიშნული პროგრამები მოდულური მიდგომით, სტუდენტთა იგივე ზღვრული რაოდენობით (25-25 პროფესიული სტუდენტი), რისი უფლებაც განსაზღვრული ჰქონდათ დუალური მიდგომით პროგრამების განხორციელების შემთხვევაში.

რაც შეეხება ზოგადად სიტუაციას, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების კოლეჯის მზაობა არის და არანაირი პრობლემა მატერიალურ აღჭურვილობასთან დაკავშირებით, საგანმანათლებლო სივრცეებთან დაკავშირებით პროგრამას არ გააჩნია. ერთადერთი მოდული აქვთ ერთ პროგრამაში გატანილი პრაქტიკის ობიექტზე და იმის წარმომადგენელსაც შეხვდნენ. ხელშეკრულება გაფორმებულია და ყველაფერი წესის მიხედვით არის გაკეთებული. ერთადერთი რეკომენდაცია რაც მისცეს, ეს იყო განვითარების რეკომენდაცია, საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: „მშენებლობის წარმოება-თაბაშირ-მუყაოს კონსტრუქციების მონტაჟი“, „მშენებლობის წარმოება-იატაკისა და ფილის სამუშაოები“ და „მშენებლობის წარმოება- სამდებრო სამუშაოები“

2.4.2. გადამზადდეს პროგრამის განმახორციელებელი სამივე პროფესიული მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების საკითხებზე, რისი საჭიროებაც გამოიკვეთა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

დარგის ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა დაამატა. რამდენადაც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება დაგეგმილი იყო დუალური მიდგომით, ამიტომ საჭიროება არ იყო კოლეჯს პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ჰქონდა შესაბამისი C გარემო. განხორციელების მიდგომის შეცვლით დადგა აუცილებლობა გადამოწმდეს მოდულური მიდგომის პირობებში სწავლის შედეგების მისაღწევად დაწესებულების მატერიალური რესურსის C გარემოში არსებობა, საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობად განსაზღვრული 25 პროფესიული სტუდენტისთვის.

ვიზიტის დროს გადამოწმდა კოლეჯის მფლობელობაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის წარმოება - სამღებრო სამუშაოები“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, რომელიც შესაბამისად ჩარჩო დოკუმენტში განსაზღვრულ მატერიალური რესურსის ჩამონათვალის იდენტურია და განთავსებულია კოლეჯის C გარემოში. გადამოწმდა ასევე პროგრამის განსახორციელებლად საჭირო A და B გარემო და მატერიალური რესურსების შესყიდვებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 13 პროფესიული განათლების მასწავლებელი. სპეციალიზაციის მოდულების განსახორციელებლად, დარგის მასწავლებლად განსაზღვრულია 3 პროფესიული მასწავლებელი. აქედან გამომდინარე, პროგრამის განხორციელების მდგრადობა უზრუნველყოფილია. მათი საკონტაქტო საათების დატვირთვა ერთი პროგრამის მიზნებისათვის არის სასწავლო გეგმის მიხედვით 2 ცვლიანი სწავლების პირობებში კვირაში დაახლოებით 30-32 საათი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია; რაც დასტურდება ასევე პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ინტერვიურებისას.

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე. წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდება შესაბამის დარგში სამუშაო გამოცდილება. პროგრამის ხელმძღვანელს ასევე გავლილი აქვს სხვადასხვა ტრენინგები.

ასევე განხორციელდა ინტერვიურება იმ კომპანიასთან, სადაც გადის გარკვეული მოდული თავისი შედეგებით. ის იყო მაღალ კვალიფიციური კომპანია და მისმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ თვითონ გაუწევს ზედამხედველობას ამ სტუდენტებს და დაინტერესებულია. კომპანია საკმაოდ დიდ ტენდერებს იგებს და 18 წლიანი სამუშაო გამოცდილება აქვთ და მუდმივად გააჩნიათ, ამის საფრთხე არ არის, რომ ამ კუთხით ხელი შეეშალოთ. ასე რომ მისი, როგორც დარგის მხრიდან, დადებითად არის შეფასებული სამივე პროგრამა და ფიქრობს, რომ არ არის მიზეზი იმისა, რომ ხელი შეეშალოს სამივე პროგრამის განხორციელებას მოდულური მიდგომით.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შეიტანა განაცხადი და ჰქონდათ სურვილი მოდულურზე გადასვლისა, რადგან პრობლემები შეექმნათ დუალურად განხორციელების, რადგან ხშირად დაწესებულება და პარტნიორი კომპანიები/სასწავლო საწარმოები ვერ ემთხვეოდნენ ერთმანეთს განხორციელების პროცესში. შესაბამისად, დაწესებულებამ გადაწყვიტა მოდულურად განახორციელოს აღნიშნული პროგრამები. მან თქვა, რომ ისინი ისედაც ახორციელებდნენ ამ მიმართულებით პროგრამებს მიღევად რეჟიმში. მან ასევე აღინიშნა, რომ პედაგოგებმა მოინდომეს, რომ ჩატარდეს მათთვის შეფასებასთან დაკავშირებით ტრეინინგი, და გამოხატა მზაობა ამასთან დაკავშირებით, თუმცა ეს პედაგოგები არიან პრაქტიკოსი, მოქმედი პედაგოგები. ისინი გამოცდილები არიან, კვალიფიკაციაც უდასტურდებათ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ გამოწვევაა პრაქტიკოსი, მოქმედი პედაგოგები, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, პროფესიული მასწავლებლების აცნობდნენ თანამედროვე ტექნოლოგიებს და მასალებს სტუდენტებს.

დარგის ექსპერტმაც აღნიშნა, რომ ეს საკითხი მნიშვნელოვანია, კოლეჯთან თანამშრომლობს გერმანული თაბაშირ-მუყაოს კომპანია KNAUF. სწორედ ისინი იწვევენ პედაგოგებს სხვადასხვა რეგიონში ტრეინინგებზე, ფორუმებზე და აცნობენ მათ თანამედროვე ტექნოლოგიებს, თანამედროვე მასალებს და ასწავლიან ახალ ტექნოლოგიებთან, ახალ მასალასთან მუშაობას და შესაბამისად, პედაგოგებს საშუალება ეძლევათ, ეს სიახლეები მიიტანონ სტუდენტებთან.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, განმახორციელებლებს ჰქონდათ თუ არა გავლილი ტრენინგები შრომის უსაფრთხოების საკითხებზე, რაზედაც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ 2018 წელს ჩატარდა GIZ -ის მიერ ორგანიზებული ტრენინგები, კერძოდ, ეს იყო 152 საათიანი ტრენინგი შრომის უსაფრთხოების საკითხებზე მშენებლობაში.

საბჭოს წევრმა, მარიამ ჩაგელიშვილმა, პირველ რიგში, დაადასტურა, რომ ნამდვილად ჩატარდა მშენებლობაში შრომის უსაფრთხოების კუთხით. თუმცა ეს არ ადასტურებს პროფესიული უნარების ქონას, რომელიც დარგობრივი მოდულების განხორციელებისათვის არის საჭირო. მან დაზუსტება სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, გამოიწვია თუ არა განხორციელების ფორმის ცვლილება იმ ფაქტმა, რომ სამშენებლო კომპანიების ფუნქციონირების/მათი პროექტების განხორციელების ციკლი არ ემთხვეოდა პროგრამების განხორციელების ციკლს. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სწორედ ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. როდესაც სამუშაოებს იღებს კომპანია, ცდილობენ მალე, ერთ თვეში დაამთავრონ. პროგრამა კი გრძელდება ორი წელი.

საბჭოს წევრმა, მარიამ ქუჩულორიამ იკითხა, რატომ გადადის დაწესებულება დუალურიდან მოდულურზე. თვითონ ამ სფეროს კარგად არ იცნობს, მაგრამ ძალიან დასანანია, GIZ-ის მხრიდან ამდენი თანხა იხარჯება დუალურის პოპულარიზაციაზე და ამ სახის პროგრამების დანერგვაზე, დამაჯერებლად ვერ გაიგო დუალურიდან მოდულურზე გადასვლის საკითხი.

ირმა მეგრელიძემ უპასუხა, რომ მხოლოდ სამშენებლო მიმართულების პროგრამების განხორციელება აღმოჩნდა პრობლემური. გარდა ამისა, დაწესებულება წარმატებით ახორციელებს ოთხ სხვა პროგრამას დუალური მიდგომით, მათ შორის, ტურიზმის მიმართულებით და ძალიან კარგი გამოცდილება მიიღეს ამ პროცესში. სასწავლო საწარმოებმა პროგრამების დასრულების შემდე ყველა სტუდენტი აიყვანეს სამუშაოდ, მაგრამ სამშენებლო მიმართულებით მოკლევადიანმა პროგრამებმა უფრო გაამართლა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღის“ ავტორიზაციის გაუქმების შესახებ ადმინიტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ საკითხი, ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №144 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯი „ახალი ტალღის“ (ს/კ: 246954620) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. ცვლილება განხორციელდეს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №144 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (**დანართი 5.**).

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივნისი.

6. შპს „ბარაკონისთვის“ „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხისგანხილვა

წარმდები: ალინა კუპრავა, ნატა ჩხაიძე

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს განუმარტა, რომ 2020 წლის 21-22 ივნისს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 15/05/2020 N384227 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა ვიზიტი შპს „ბარაკონში“ „ფარმაცია (სააფთიაქო)“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის მიზნით ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შესამოწმებლად.

„ფარმაციის“ პროგრამა დაწესებულებაში დიდი ხანია ისწავლება. ავტორიზაციის საბჭოს სხდომის გადაწყვეტილებით N169/09.09.2019 განსაზღვრული ჰქონდათ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა -40. დაწესებულება ითხოვს და სურს 40-ის ნაცვლად ჯამში 80 ჰქონდეს სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა აღნიშნულ პროგრამაზე.

ხარვეზი არ დაფიქსირებულა, მიეცათ განვითარების რეკომენდაციები:

კომპონენტი 2.4.1 კრიტერიუმი 5. „შპს ავერსი ფარმასთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებას დაემატოს მატერიალური რესურსების ჩამონათვალი, რომლებიც გატანილია მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკის ბაზაზე;

კრიტერიუმი 6. პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო პროცესის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს და ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამის C გარემოში გამოაკრას ქიმიური ნარჩენების მართვის წესი და ასევე ხელშეკრულება გააფორმოს კომპეტენტურ კომპანიასთან, რომელიც უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების გატანას;

კომპონენტი 2.1 კრიტერიუმი 4. რეკომენდირებულია დაწესებულებამ განაახლოს დარგის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა;

კომპონენტი 2.2.1 კრიტერიუმი 4. რეკომენდირებულია პროგრამის ხელმძღვანელი მეტად ჩაერთოს პროგრამის განხორციელების და შეფასების ნაწილში, ასევე გააკეთოს ინიცირება რესურსების (სასწავლო და მატერიალური) მობილიზების/განახლების თვალსაზრისით, აღნიშნული გაიწეროს მასთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში (ფუნქცია-მოვალეობებში)

პროგრამის ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს შპს „ავერსი-ფარმა“-სთან, რომელიც კურსდამთავრებულებს სისტემატიურად ასაქმებს. ოფიციალური შეთანხმების საფუძველზე, შპს „ავერსი-ფარმა“-ს სააფთიაქო ქსელში მათი წარმომადგენლების მიერ (პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ინსტრუქტორები) ხორციელდება 8 პროფესიული მოდული. ამასთან, მიმდინარე წლის 24 მარტს, ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება და განისაზღვრა, რომ წლის განმავლობაში შემსრულებელი იღებს ვალდებულებას 40 პროფესიული სტუდენტის ნაცვლად, მოემსახუროს დამკვეთის 80 პროფესიულ სტუდენტს სასწავლო წლის განმავლობაში. შესაბამისად, პარტნიორი დაწასებულება გამოხატავს სურვილს და დაინტერესებას მის ქსელში დაასაქმოს უფრო მეტი კურსდამთავრებული მთელი საქართველოს მასშტაბით. ასევე, მუშაობს სტუდენტთა კომპეტენციის შესაბამის დასაქმების შეთავაზებაზე. აღნიშნული დასტურდება ელექტრონული ფოსტის მიმოწერითაც. ასევე, კოლეჯის C გარემოს აქვს გამტარიანობა და შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომ მოემსახუროს 80 პროფესიულ სტუდენტს. C გარემო ასევე გამოიყენება პროგრამის თეორიული სწავლების მიზნებისთვის, თუმცა პროგრამისთვის ასევე გათვალისწინებულია დამატებითი A გარემო. შესაბამისად, პროგრამის განხორციელებისთვის გამოყენებულია სამი სასწავლო აუდიტორია, ადამიანური რესურსების

რაოდენობა და დატვირვა უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას შესაბამისად აღნიშნული გარემოებები იწვევს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საჭიროებას. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო/საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება, მასში ცვლილებების შეტანა და დამტკიცება ხდება „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი“-ს შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: პროგრამის დაგეგმვის და შემუშავების პროცედურა, პროგრამის დამტკიცება და უფლების მოპოვება, პროგრამაში ცვლილებების შეტანა და გაუქმება, პროგრამის შეფასება და განვითარება, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირების საკვალიფიკაციო მოთხოვნები. გადამოწმდა პროგრამაში ცვლილების განხორციელების არსებული პრაქტიკა და დადგინდა, რომ დაწესებულება იცავს გაწერილ პროცედურას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც მითითებული იყო პროგრამით გათვალისწინებულ რიგ პროფესიულ მოდულებში არ იყო საკმარისი, ანუ მითითებული ლიტერატურით შეუძლებელი იყო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული თემატიკის სწავლის შედეგების მიღწევა, დაწესებულებას ეცნობა აღნიშნულის თაობაზე, დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N33 ბრძანებით ცვლილებები განახორციელდა შესაბამის მოდულებში და დაემატა სასწავლო რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა შემდგომი განვითარების მიზნით რეკომენდირებულია დაწესებულებამ განახლოს დარგის შესაბამისი სასწავლო ლიტერატურა.

კოლეჯს ფარმაცია (სააფთიაქო) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების მიზნებისთვის აქვს A, B და C გარემო. პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას აქვს სიმულაციური გარემო C, დაწესებულებას აღნიშნული პროგრამის პროფესიული მოდულის: „სანიტარიულ ჰიგიენური ნორმების, გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა“ განხორციელება დაგეგმილი ჰქონდა პრაქტიკის ობიექტზე „შპს ავერსი ფარმა“, თუმცა სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას გამოიკვეთა, რომ აღნიშნული მოდულის 2,3 და 6 სწავლის შედეგის მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე შეუძლებელი იყო, ვინაიდან ამ შედეგების განხორციელება/მიღწევას ესაჭიროება სპეციფიური სამუშაო გარემო და რესურსი, რასაც აღნიშნული პრაქტიკის ობიექტი სრულად არ ფლობდა, ვინაიდან ავერსი ფარმა არის მზა წამლის ფორმების რეალიზაციონური, აღნიშნული მოდული უკვე დასრულებულია, მტკიცებულებების გადამოწმებით და დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურებით ირკვევა, რომ აღნიშნული მოდულის ნაწილი სწავლის შედეგები დაწესებულებაში მიიღწევა და ნაწილი პრაქტიკის ობიექტზე, მათი რესურსების გათვალისწინებით. ექსპერტების რეკომენდაციით დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში მოდულის განხორციელების მიდგომებში გამიჯნა სწავლის შედეგების მიღწევა დაწესებულებასა და აფთიაქის ბაზაზე, დირექტორის 2020 წლის 23 ივნისის N34 ბრძანებით ცვლილებები შევიდა პროგრამის შესაბამის დანართებში, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

რაც შეეხება C გარემოს გამტარიანობას, თუ დაწესებულება მიიღებს სრულად განსაზღვრული კოტის ფარგლებში სტუდენტებს იქმნება 4 ჯგუფი, რომლებიც პროგრამით გათვალისწინებულ 11 პროფესიულ მოდულს გაივლიან ორი წლის განმავლობაში აღნიშნულ გარემოში, წარმოდგენილი სასწავლო გეგმით ორცვლიანი რეჟიმით დატვირთვაც არ იყო საკმარისი მოდულებით გათვალისწინებული საათების ჩასატარებლად, დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების შემდეგ მათ წარმოადგინეს დაკორექტირებული სასწავლო გეგმა, სასწავლო გეგმაში მოდულების დაგეგმვა ისე განხორციელდა, კვირეული დატვირთვა

შემცირდა, დაკორექტირდა ასევე მატერიალური რესურსის დანართი, კერძოდ: ამოღებულ იქნა თემატურ თვალსაჩინოებებზე ჩანაწერი(ჩანაწერის მიხედვით დაწესებულებას უნდა ჰქონოდა ამობეჭდილი თვალსაჩინო მასალები ყველა მოდულის ფარგლებში), გასაუბრების საფუძველზე დაფიქსირდა მოსაზრება, რომ თემატური თვალსაჩინოებების ჩვენება ხორციელდება ელექტრონულად, სადემონსტრაციო საშუალებებით, დაკორექტირებული პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

ფარმაციის (სააფთიაქო) პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლები აყვანილია დაწესებულების მიერ განსაზღვრული წესის საფუძველზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში მითითებული ინფორმაცია, განმახორციელებელ პირს რელევანტურს ხდის ამ კონკრეტული მოდულის განსახორციელებლად. პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების, მათი ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას; სასწავლო კურსების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა(არაუმეტეს 40 სთ), სასწავლო პროცესის სამსახურთან და პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებით დგინდება, კალენდარული გეგმები შემუშავებულია სასწავლო გეგმის შესაბამისად;

დარგის ექსპერტმა, ნატა ჩხაიძემ ისაუბრა კრიტერიუმ 6-თან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციაზე, რაც გულისხმობდა ქიმიური ნარჩენების უსაფრთხო მართვის წესს. ქიმიური ნარჩენები არის უსაფრთხო ნარჩენები და მართვა უნდა ხდებოდეს ქიმიური ნარჩენების მართვის ეროვნული კოდექსის შესაბამისად, რათა უსაფრთხო გარემო იყოს. აქედან გამომდინარე, რეკომენდაცია იყო, გაწერილი ყოფილიყო ქიმიური ნარჩენების გატანის წესი კოდექსის შესაბამისად, დადებული უნდა იყოს შესაბამის დაწესებულებებთან ხელშეკრულება, რათა მოხდეს ნარჩენების უსაფრთხო ტრანსპორტირება და უტილიზაცია. არგუმენტირებულ პოზიციაში მოიწერა დაწესებულებამ, რომ უკვე შემუშავებული აქვს წესი და ხელშეკრულებაც დადებული საწარმოსთან და კარგია, რომ დაწესებულებამ უკვე გაითვალისწინა რეკომენდაცია. მაგრამ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მოიწერეს, რომ აქვთ დოკუმენტი, რომლის სახელწოდება არის „გამოსაყენებელი ქიმიური საშუალებების, შესყიდვის, შენახვის, გამოყენების და უტილიზაციის წესი“, აյ არის პრობლემა. ნარჩენების მართვა არ არის მხოლოდ უტილიზაცია. სახიფათო ნარჩენები ეს არის შეგროვებიდან დაწყებული, შენახვა, განთავსება, მართვა. რეკომენდაციაა არ შემოიფარგლონ მხოლოდ უტილიზაციით და ყველა ეს მნიშვნელოვანი ეტაპები გაითვალისწინონ.

შორენა ჯაფარიძეს აინტერესებდა პრაქტიკის ობიექტზე თუ შეძლებს სტუდენტი, ისარგებლოს მისი მატერიალური რესურსით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ხელშეკრულებაში წერია, თუ რომელი მოდული გადის კომპანიაში და მისი რესურსიც შესაბამისად იქნება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, მატერიალური რესურსი პრაქტიკის ობიექტს აქვს, თუ დაწესებულების ბალანსზეა, რაზეც მიიღო ექსპერტის განმარტება, რომ დაწესებულების მიერ დაგეგმილი სწავლის შედეგები მიღწევა პრაქტიკის ობიექტზე, სადაც ყველა რესურსი არსებობს, თუმცა ჩამონათვალი ვერ ნახეს.

ნანი დალაქიშვილმა დაამატა, რომ ნამდვილად არის სასურველი იყოს რესურსების ჩამონათვალი, თუმცა რესურს რაც შეეხება სწავლის შედეგების გატანის შემთხვევაში,

მატერიალური რესურსის ჩამონათვალის არ არსებობა არაფერს არღვევს და დასკვნაშიც სრული შესაბამისობა აქვთ ექსპერტებს მითითებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ხაჩიძემ აღნიშნა, რომ გაფორმდა დამატებითი ხელშეკრულება „ავერსთან“. რამდენი მოდული უნდა განხორციელდეს მისი ბაზის მეშვეობით, ეს მოდულები ყველა გაწერილია ხელშეკრულებით, სხვა დანარჩენი რესურსი არის კოლეჯში, შესაბამისად, C გარემოში თუ A გარემოში.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლონდა მინდიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია სწორადაა გაკეთებული. ეს არის განვითარების რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტმა სწორად დააფიქსირა 2.4.1-ში ხელშეკრულების დანართთან მიმართებით. ეს არის განვითარებისთვის, რომელიც რეალურად სარეკომენდაციოა. ანუ, სწორად არის ამ ნაწილში რეკომენდაცია გაკეთებული.

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ იკითხა, ფაქტიურად ამ პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი გატანილი იქნება პრაქტიკის ობიექტზე და ვინ იქნება ის ადამიანები, ვინც ასწავლის, აქვთ თუ არა შესაბამისი გამოცდილება, კომპეტენცია სწავლების მიმართულებით, რაზეც ექსპერტმა, ალინა კუპრავამ უპასუხა, რომ იყვნენ პრაქტიკის ობიექტზე და ესაუბრნენ წარმომადგენლებს, რომლებიც არიან ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირები, პროგრამის ხელმძღვანელიც კომპანიის წარმომადგენელი ჰყავთ. როცა გადანაწილებას მოახდენენ მოდულებზე, წინასწარ ჩაუტარებენ ტრეინინგებს, ასეთი პრაქტიკა აქვთ. მათ აქვთ სწავლების გამოცდილება.

ფოტოზე წარმოადგინეს ფოტო-მასალაც, რათა თვალსაჩინო ყოფილიყო კოლეჯის სასწავლო გარემო.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს „ბარაკონისთვის“ „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯრების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 56-ე მუხლის შესაბამისად, შპს „ბარაკონს“ (ს/კ: 20877231) დანართით განსაზღვრულ „ფარმაციის“ საგანმანათლებლო პროგრამაზე გაეზარდოს პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა და განესაზღვროს 80-ით (**დანართი 6**) გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივლისი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტებს ერთად წარმოედგინათ დღის წესრიგის მეშვიდე, მერვე, მეცხრე და მეათე საკითხების თაობაზე პრეზენტაცია.

7. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

8. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეფუტკრეობის“ (თიანეთი) საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა

9. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეხილეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

10. სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მეხილეობის“ (თიანეთი) საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები

წარმდგენი: მადონა გოგობერიშვილი, თამარ ახალაძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ პკითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს მოახსენა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებების საფუძველზე სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფების ვიზიტები, რომლის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2-ე პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამდლვრიანთკარში, 23 ივნისს და თიანეთში 24 ივნისს.

ვიზიტის დაწყებამდე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალები და შეადგინა დღის წესრიგი. დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრება; დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებასთან დაკავშირებული არსებული პრაქტიკის შემოწმება, პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება; საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეების შემოწმება, მათთან გასაუბრება; პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შემოწმება; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის, სასწავლო პროცესის პრეტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემის არსებული პრაქტიკის შემოწმება/პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

დაწესებულებას ჰყავს 5 საერთაშორისო პარტნიორი საფრანგეთსა და ჩეხეთის რესპუბლიკაში. კერძოდ, ტრაქტორისტ-მემანქანის, მეფუტკრეობის, სატყეო საქმის პროგრამის ფარგლებში. გაცვლითი პროგრამების ფარგლებში ჩეხეთის რესპუბლიკაში, სასწავლო-საგანმანათლებლო ვიზიტით იმყოფებოდა დაწესებულების 7 პროფესიული სტუდენტი, 2 პროფესიული მასწავლებელი და 4 ადმინისტრაციის წარმომადგენელი

ხარვეზი არ გამოვლენილა. მიეცათ შესაბამისობის რეკომენდაციები ორივე ლოკაციაზე:

კომპონენტი 1.2. კრიტერიუმი 1. რეკომენდაცია სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით: დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა კოლეჯის მიერ შემუშავებული შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში.

სტანდარტი 2

კომპონენტი 2.2. კრიტერიუმი 1. კოლეჯმა უზრუნველყოს მეფუტკრეობის პროგრამის სრულფასოვნად განხორციელებისთვის მატერიალური ბაზის შევსება სასწავლო პროცესის დაწყებამდე;

კრიტერიუმი 3.

დაწესებულებამ უზრუნველყოს პერსონალის პირადი საქმეების სრულად დაკომპლექტება კოლეჯის შინაგანაწესით სავალდებულო წარმოსადგენი დოკუმენტაციის შესაბამისად; დაწესებულებამ უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამის პროფესიული განათლების მასწავლებლების გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში,

კომპონენტი 2.3.1. კრიტერიუმი 1. გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, პროგრამის შეფასების მექანიზმში მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული შრომის ბაზრის მოთხოვნების და საუკეთესო საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და გადამუშავდეს, შემუშავდეს ასევე კვლევისთვის საჭირო გამოკითხვის ფორმები.

კომპონენტი 2.4.2. კრიტერიუმი 3. დაწესებულებამ გაწეროს შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.

მალიან ოპერატორულად გაითვალისწინა კოლეჯმა რეკომენდაციები. რაც შეეხება მზაობას, მალიან დასაფასებელია მათი მზაობაც. საერთო ჯამში, მეტწილი შესაბამისობა აქვთ 2.2. კომპონენტში. შესყიდვების ნაწილი არ არის სრულად, თუმცა არის დოკუმენტები, ხელშეკრულებები. კოლეჯს აგვისტოს ბოლო აქვს მითითებული გაუმჯობესების გეგმაში და ფიქრობენ, სწავლის დაწყებამდე დასრულებული ექნებათ შესყიდვები.

რაც შეეხება მეხილეობას, ამ რეკომენდაციებში დიდი სხვაობა არ არის. იგივე რეკომენდაციებია. სხვაობა ის არის, რომ ახალი პროგრამაა, ახლახანს გაიარეს ავტორიზაცია, პრაქტიკული ნაწილი მოწესრიგებულია, ამ ეტაპზე დაწესებულებას სურს დამატებით შემოიტანოს პროგრამაში ინტეგრირებული მოდულები და პროგრამა ასევე, განახორციელოს საბაზო განათლების ბაზაზე. ნახეს ადგილზე. მეხილეობის პროგრამა, მოდულურად უნდა განახორციელონ, ამის გარემო ნამდვილად არის. ორი აუდიტორია აქვთ A/C გარემო. ერთადერთი, არ აქვთ ინტეგრირებულისთვის-ლაბორატორია. აქაც შესყიდვის თემაა. ექსპერტმა ფოტო-მასალა წარმოადგინა საბჭოზე. აქაც პროცედურა დაწყებულია. ყველა დოკუმენტაცია მომზადებულია, ხელშეკრულებებიც დადებულია და ელოდებიან შემოტანას. რაც შეეხება თიანეთს, აქ დუალურად ახორციელებენ პროგრამას და პროგრამა პროგრამა აქაც ინტეგრირებულია.

ქალბატონმა ნანიმ დაამატა, რომ დაწესებულებას ორ ლოკაციაზე აქვს „მეხილეობის“ პროგრამის განხორციელების უფლება. წინამდღვრიანთკარში - მოდულური მიდგომით, თიანეთში - დუალური მიდგომით. და ერთი შეკითხვა აქვს ექსპერტთან, შესაძლოა ინტეგრირებულ მოდულებიან პროგრამაზე 15 წლის ასაკიდან შემოვიდეს სტუდენტი, კომპანიას 15 წლის სტუდენტებთან ხელშეკრულების გაფორმებაზე პრობლემა ხომ არ ექნება, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ ერთ-ერთ კომპანიას ესაუბრნენ და მზაობა აქვთ კოლეჯთან თანამშრომლობის. კოლეჯი სეზონურად მუშაობს კომპანიებთან და მზაობა აქვთ ამ კუთხით და არანაირი პრობლემა არ აქვთ.

აქაც 2.2.კომპონენტში მეტწილი შესაბამისობა აქვთ იგივე მიზეზების გამო.

საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა, ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელებისას, შინაგანაწესში ინსტრუქტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შეტანა რამდენად სწორი იქნებოდა.

კოლეჯის წარმომადგენელმა, ელისაბედ ებრალიძემ ამ საკითხთან დაკავშირებით თქვა, რომ მათ არ ჰქონდათ მანამდე შინაგანაწესში და ამ რეკომენდაციის საფუძველზე გაწერეს შინაგანაწესში. ეს იყო თებერვალში, როცა ეს რეკომენდაცია მიეცათ.

საბჭოს თავმჯდომარემ თქვა, რომ ნებისმიერი დაწესებულება ადგენს შინაგანაწესს თავისი დასაქმებულისათვის და თუ ინსტრუქტორი არ არის კოლეჯთან შრომით ურთიერთობაში, ვერანაირი დოკუმენტით კოლეჯის დირექტორი ვერ დაარეგულირებს, რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს სხვა კომპანიის დასაქმებული. ეს ერთადერთი შესაძლებელია კომპანიასა და კოლეჯს შორის გაფორმებული მემორანდუმით ან ხელშეკრულებით. შინაგანაწესში სხვა თანამშრომლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩაწერა არ არის მიზანშეწონილი და სამართლებრივად არანაირ ძალას არ წარმოადგენს.

საბჭოს წევრმა, შორენა ჯაფარიძემ თქვა, რომ ყველაზე კარგი ვარიანტია, როცა იდება ხელშეკრულება სასწავლო საწარმოსა და დაწესებულებას შორის, დუალურის დროს, იქ ჩამოყალიბდეს ეს მოთხოვნები. შეიძლება თითოეულ მოდულზე სხვადასხვა მოთხოვნა იყოს ინსტრუქტორისთვის.

ადამიანური რესურსების მართვის ნაწილში შეიძლება ძალიან დიდი პრობლემა შექმნას ასეთმა არასწორმა მიდგომამ, აღნიშნა თავმჯდომარემ. მოგეხსენებათ ინსტრუქტორიც არის პროფესიული მასწავლებელი, ახალი სტანდარტების მიხედვით. გარდამავალ ეტაპზე ვართ, ყველანი ამ ახალი სტანდარტების პირობებში ერთად გავდივართ ამ პროცესებს, თუ რეკომენდაციებს ვაძლევთ, სწორად გაიწეროს რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაიხადა ამ საკითხის განხილვისთვის და აღნიშნა, რომ

ეს საკითხი ყოველთვის იყო პრობლემა, ვერ ნახეს რეგულაცია, რის მიხედვითაც შეადგენდა დაწესებულება და შემდეგ იქნებოდა მოთხოვნა საწარმოსთან, ინსტრუქტორის შესარჩევად. რაც შეეხება შესყიდვებს, შესაბამისობის გეგმა როცა შეიმუშავეს, იქ ჩაწერეს აგვისტოს თვე. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მომწოდებელთან და ფიქრობენ, შეფერხება არ ექნებათ. ეს ეხება როგორც „მეხილეობის“ პროგრამის, ასევე „მეფუტკრეობის‘ პროგრამის მატერიალური რესურსის შესყიდვას ორივე ლოკაციისთვის.

თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და დაწესებულებას მიმღებლობისთვის. საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

თავმჯდომარემ დაწესებულებას ჰქითხა, რა დრო დასჭირდებოდათ მატერიალური რესურსის სრულად შესავსებად, რადგან საბჭო შუამდგომლობას დაყენებას ფიქრობს ცენტრთან 2.2. კომპონენტში მონიტორინგის ჩასანიშნად მეტწილი შესაბამისობის გამო. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვადა სწავლის დაწყებამდე, 20 სექტემბრამდე სავსებით საკმარისი იქნებოდა.

ცენტრის წარმომადგენელმა ნინო სტეფანიშვილმა მონიტორინგის ვადები და საფასურის შესახებ ინფორმაცია შეახსენა დაწესებულებას.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფელ წინამდღვრიანთკარში „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამა მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წინამდღვრიანთკარში (**დანართი 7**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივლისი. მონიტორინგის განხორციელების ვადის ათვლა მოხდეს 2020 წლის - 20 სექტემბრის შემდეგ ვიზიტით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის დაბა თიანეთში „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი. წაკითხულ იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეფუტკრეობის“ საგანმანათლებლო პროგრამა დაბა თიანეთში (**დანართი 8**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივლისი. მონიტორინგის განხორციელების ვადის ათვლა მოხდეს 2020 წლის - 20 სექტემბრის შემდეგ ვიზიტით.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამდლვრიანთკარში „მეხილეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხული იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უფლებამოსილების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეხილეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებიმცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წინამდლვრიანთკარში (**დანართი 9**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივლისი. მონიტორინგი ჩაინიშნება 2020 წლის 20 სექტემბრიდან ვიზიტით ექსპერტების დასკვნით განსაზღვრულ - 2.2. და 2.3 კომპონენტებში.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ილია წინამდლვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის დაბა თიანეთში „მეხილეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების შესახებ საკითხი, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები. წაკითხულ

იქნა პროგრამის პარამეტრები, რასაც დაეთანხმნენ ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7

წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, უფლებამოსილების მოპოვების შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 62-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯს (ს/კ: 236098851) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მეხილეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგებიდაბა თიანეთში (**დანართი 10**)

გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 24 ივლისი. მონიტორინგი ჩაინიშნება 2020 წლის 20 სექტემბრიდან ვიზიტით. მონიტორინგი ჩაინიშნება ექსპერტთა დასკვნის შესაბამისად, 2.2. 2.3 კომპონენტებში.

11. სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა;

12. სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „თმის მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა;

13. სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „სამკერვალო წარმოების“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა;

14. სსიპ - ილია წინამდღვრიშვილის სახელობის კოლეჯისთვის „მებოსტნეობის“ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხისგანხილვა.

წარმდგენი: ალინა კუპრავა, თამარ ახალაძე, იანინა გიგიძერია

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰქითხა დაწესებულების წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა მდივანს, რომ საქმის მასალები - დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განაცხადი და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

პრეზენტაცია ილია წინამდღვრიშვილი სახელობის ოთხივე პროგრამაზე - „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, „თმის მომსახურება“, „სამკერვალო წარმოება“ და „მებოსტნეობა“ წარადგინა ექსპერტმა ალინა კუპრავამ. მან ცალ-ცალკე წარმოადგინა პროგრამები და რეკომენდაციებიც გამიჯნულად წარმოადგინა თითოეული პროგრამისათვის.

ოთხი წარმოების ფარგლებში მოხდა ამ დაწესებულებების პროგრამების დამატების შესახებ ვიზიტები. დაწესებულება მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ.წინამდღვრიანთკარში, სადაც განახორციელებს ოთხივე პროგრამას.

პროგრამა „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“, პროფესიული დონე არის მეოთხე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია სასურსათო პროდუქტების წარმოებაში, კოდი -0721, დაწესებულება სწავლებას განახორციელებს დუალური სწავლებით, 15 პროფესიული სტუდენტი.

პროგრამა „სამკერვალო წარმოება“-პროფესიული განათლების დონე - მესამე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია-საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში, კოდი-0723, მოდულური სწავლება, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა - 30.

პროგრამა „თმის მომსახურება“ მესამე პროფესიული დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია-საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში, კოდი -1042, მოდულური მიდგომით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა-30.

პროგრამა „მებოსტნეობა“ - მესამე პროფესიული დონე, მისანიჭებელი კვალიფიკაცია-საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მებოსტნეობაში, კოდი -0811, მოდულური სწავლებით, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა-30.

ოთხივე პროგრამის მეორე სტანდარტის შეფასება ყველგან რესურსების ნაწილში მეტწილია, გარდა ერთი პროგრამისა - „ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავება“ სადაც გატანილია მოდულები პარტნიორ კომპანიაში. 2.3 კომპონენტში მეტწილი შესაბამისობა ოთხივეშია, 2.4. კომპონენტიც მეტწილი შესაბამისობაა ოთხივე პროგრამაში. დაწესებულებას თვითშეფასების შედეგებშიც იგივე შეფასება აქვთ, გარდა 2.4 კომპონენტისა, სადაც ყველა პროგრამაში სრული შესაბამისობა აქვთ მონიშნული.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ გამოვლენილ არცერთ პროგრამაზე. გაიცა ზოგადი რეკომენდაციები ოთხივე პროგრამაზე:

სტანდარტი 1. კომპონენტი 1.2.

კრიტერიუმი 1. დაწესებულებამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა(შესაბამისობის გეგმის მიხედვით შემუშავების პროცედურები დასრულდება 2020 წლის 25 ივლისს)

სტანდარტი 2. , კომპონენტი 2.2.1.

კრიტერიუმი 1. პროგრამით გათვალისწინებული რესურსი, რომელიც შესყიდვის პროცესშია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადებში შესყიდული იქნას და მობილიზდეს დაწესებულების ბაზაზე(გარდა ხილის და ბოსტნეულის გადამუშავების პროგრამისა)

კრიტერიუმი 3. პროფესიულმა განათლების მასწავლებლებმა რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება საჭიროა გადამზადდეს მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში(ხილის და ბოსტნეულის გადამუშავება და მებოსტნეობა)

კომპონენტი 2.3.1.

კრიტერიუმი 1საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მართვა, თავის თავში აერთიანებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების კომპონენტსაც. შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისაგან და დამსაქმებლებისაგან, პროფესიული სტუდენტების, სოციალური პარტნიორების, პროფესიული განათლების მასწავლებელთა მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას, უახლესი კვლევის შედეგებს, პროგრამების განვითარების კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნას კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის მაჩვენებელი, პროფესიულ სტუდენტთა რეგისტრაციის, ჩარიცხვის, კვალიფიკაციის მინიჭების, სტატუსის შეჩერება/შეწყვეტის, მობილობის სტატისტიკის ანალიზი, აღნიშნულიდან გამომდინარე რეკომენდირებულია გადაიხედოს და გადამუშავდეს კოლეჯის ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, პრაქტიკის შესწავლის ინსტრუმენტები და გამოკითხვის ფორმები. (შესაბამისობის გეგმის მიხედვით შემუშავების პროცედურები)

კომპონენტი 2.4.2.

კრიტერიუმი 3. დაწესებულებამ გაწეროს შეფასების მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, რომლის მიხედვითაც განახორციელებს მათ აღრიცხვას.

დამატებით ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების პროგრამისათვის რეკომენდაცია სტანდარტი 2, კომპონენტი 2.4.1.

